

მისი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი 3 კოპიკი.
 შაურ ი. წლიური ხელის მომწოდებელს გახდის ფასი შეუძლია ნაწილობრივად დასაფარად.
 იხადონ, ხელის მოწოდების დროს 3 მ., დანარჩენი კი დეკლარაციის წესით.
 განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 2 კოპიკი, მეორეზე 1 კოპიკი, უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტრიტ ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეული ნაშუადღვის 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

„სამშობლო“ — დღის ქუთუნი, არ გაიყვლება სხვაზეა, ორივე ტკბილია, ძმობილია, მიჩვენის ორსვე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

გაზეთი „სამშობლო“ რედაქცია, თანამშრომლები და ახლოთამ-
 ყვობანი აუწყებენ მათთვის საინფორმაციო, რომ პირა 8, 8
 თებერვალს, ნაშუადღვის 1 საათზე, დანიშნულია საკომლიტიკო
 ტაძარში პანაშვიდი, ჩართულ სიტყვა-პანაშვილ მშობლიობის და-
 და გომის

აკაკის

სულის მოსახსენებლათ.

2-2

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუ-
 თაისის განყოფილების გამოცემა აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ
 კვირას 8 თებერვალს, საკრებულო ტაძარში ნაშუადღვის პირველ
 საათზე გადახდის იქნება პანაშვიდი ჩვენი სასიკეთოდ მგოსნის

აკაკის

სულის მოსახსენებლათ.

2-2

ქუთაისის ფინანსური-ისტორიული საზოგადოების გამოცემა აუწყებს
 ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 8 თებერვალს, ნაშუადღვის პირველ
 საათზე, საკრებულო ტაძარში, გადახდის იქნება პანაშვიდი ჩვენი
 ეროვნული სიამაყის

აკაკის

სულის მოსახსენებლათ.

2-2

ჭიჭიჭის მარჯანეთის მრეწველთა სხვადასხვა ამით აცხადებს, რომ
 კვირას, 8 თებერვალს, ნაშუადღვის 1 საათზე, ქუთაისის საკომლიტიკო
 ტაძარში დანიშნულია პანაშვიდი

დიდებული გომისის აკაკის

სულის მოსახსენებლათ.

2-2

ტიხონ ალექსის ძე და მეუღლე მისი აღმკვეთი გიორგის ასული
 ასათიანები გულთბილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნა-
 ცნობთ, რომ კვირას, 8 თებერვალს, საოფელ ქვიტორის წმ. გიორგის
 ეკლესიაში გადახდის იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მათი
 დაუფიქრებელი შვილის

ანასტასიას (ტასიკოს)

სულის მოსახსენებლათ.

2-2-150

დღეს ივერის სატახტო ქალაქ თბილისში, მამადავითის ეკლესიაში
 დაკრძალვინ

სამართლებელს სიამაყეს, დიდებულ გომისანს

აკაკის

რასაც მისგან დათმებული და მოკლებული მისი მშობლიური მფარ-
 ვლობას სოფელ სვიმონის გომისანს უსაზღვრო მწუხარებით
 ცრემლმთხრობელი აუწყებს მთელ ქართველობას.

1-1-52

თ-ლ სვიმონ გიორგის ძე წერეთელი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ,
 რომ ომში ტრადიციულად მოკლულ იქნა შვილი მისი

არჩილი

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 4 საათზე, მიცხოვის ეკლესიაში.
 გვამის მოსვენება და დაკრძალვა ცალკე გამოცხადდება.

დღეს მთავრდება უკვე მიწას მიხატვის სამართლებელს დიდებას — აკაკის კლვანად და საკურთხად

სამართლებელს უძღვრის ამ ნუმერს თავის ქვეყნის
 დიდ გომისანს

პატარა რედაქცია „სამშობლო“

ქუთაისი, 8 თებერვალი.

პაწია ქვეყნის დიდი შვილის გარდა-
 ცვალაბა სასწაულთ მოქმედი ყოფილა!
 დღეს მთელი საქართველო აღმოსავ-
 ლეთიდან დასავლეთამდე და სამხრეთიდან
 ჩრდილოეთამდე — ერთს ფიქსა შეიქ-
 რობს, ერთი გრძობითაა გამსჭვალული.
 დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ და-
 რიბი, ჩინოსანი თუ უჩინო, მურყუა თუ
 მუშა, ნასწავლი თუ უსწავლელი — ცხარე
 ცრემლებს აფრქვეს.
 რათა?
 მიტომ რომ, ყველას ჩაწყდა გულის
 ერთი საუკეთესო სიმი. ყველა გრძობს
 საერთო დანაკლისს.
 რა არის ეს საერთო?
 სერთოა — სიკაცობა ადაბიანური,
 სიყვარული უნებარე, მოქმედება კაცულ
 კაცური, თავგანწირვა მომხმისათვის ქრის-
 ტესებური მოძღვრებანი აკაკის.
 აკი დავინებით გაიხსობდენ და, — საუ-
 ბედურთა, აღბათ კიდევ ბევრჯერ გავი-
 გონებთ — რომ სხვა და სხვა ჯგუფთა შო-
 რის საერთო არა არის რა!
 მაშ რას ნიშნავს დღევანდელი, ერთობ-
 რიგი გოდება, რას ნიშნავს რომ „აღსე-
 ლიც“ იმ ვნით ლაპარაკობს, რა ვნითაც
 მოსთქვამს „არადასელი“?
 არა, ბატონებო, დაიგროვლ დაბეჩ-
 ვებულ ერს, მის ნაწილებს, მის წევრებს
 ბევრი რამა აქვს საერთო და თუ ეს გვა-
 ვიწყდება ყოველ-დღიურ მუშაობის
 დროს, თუ ეს არ გვეგერა დუბიერ ცხოვ-
 რებისაგან გამობრუნებულთ — საერთო უბე-
 დურებანი გავითვალისწინოთ ხოლმე და
 სადღესო მუშაობის დროსაც ერთმანეთს
 მოვებმარნეთ და ერთობრივის ძალით წე-
 ვქნათ დიდება, ძლიერება,
 და ადამიანური ცხოვრება — რომლის
 მქალაგებელიც იყო აკაკი.
 მაშ, შევეცდეთ ერთმანეთს დიდებუ-
 ლი ცხედრის წინაშე, რომ ბოლოს მო-
 ვედებთ თვალთმაქცობა-შენ-ჩემობას და
 საქვეყნო საქმისთვის სიკაცობესაც არ
 დავიშურებთ — ეს იქნება საუკეთესო პა-
 ტივისცემა ჩვენი მგოსნისა, ეს იქნება
 დასაწყისი ჩვენი ბედნიერებისა — ხალხის
 გონებრივ-ქონებრივად წარმატებისა, ვი-
 ნადიან ძალა მართო ერთობაშია!

**გლოვან, თუ
 „გიხაროდენი!“**

დღეს მთელი საქართველო თავის დი-
 დებულს მგოსანს საქართველოს სატახტო
 ქალაქში დაიტირებს; აქვე ჩვენი ცხოვრ-
 ბის მოამბე მიცვალბულთა შორის „ფუ-
 რუხის“ ცის ქვეშე მოთავსებულ პანთე-
 ონში დაკრძალავს თვისს სიყვარულს აკა-
 კის.
 მაშ დღევანდელი დღე ქართველებისა-
 თვის დიდი გლოვის დღეა!
 მაგრამ მწუხარება და გლოვა სრული-

აღ გაიწყდება, როცა ხედავ, რომ დი-
 დებული მიცვალბულის ქორისუფალ
 ქართველობას დიდი ასაბია მოუღის.
 ამირ კავკასიის გვიდონი და სტუმარ-
 ნი: რუსი, ოსმალი, სპარსი სომეხი,
 ლეკი და ოსი, ქრისტიანი და ებრაე-
 ლი, ყველანი გულ წრფელი სამიშობით
 მგოსნის მოტირალს ნუგეშს აძლევენ და
 მის ნადვებს იხიარებენ.
 ასეთი ფართო და მრავალ მხრივი სა-
 მართობი და თანაგრძნობა უბრალო ჩვეუ-
 ლების ნაყოფი როლია:
 მჭირფასად საგულეებელი შვილის ქება-
 დიდებით ბატონის მებობლებს პოეტის
 მშობელი ერის ღრმა პატივისცემა განუ-
 ზრახავთ.

აკი შვილი დღე-ღამის მკურთხეველი-
 აო, ნათქვამია, და დღეს, რაკი შვილის
 ნამოქმედართ მთელი ერთ ასეთს პატივს
 და გამოჩინებას იმსახურებს, შორს
 ჩვენგან გლოვა და ტირილი: ვაშა და
 ბარაკალი აკი შვილსაც და მისს მშობ-
 ლებსაც. და დღევანდელი ჩვენი გლო-
 ვის რღეს „ვიი-ვიი“ — მოთქმა კი „არა,
 „ვა“ და „გიხაროდენი“ შეგვენის.
 დილაღე გიხაროდეს, ქართველო ერო,
 რომ უბედურებისა და გაქვივების ხანა-
 ში შენ წარმოშობი იხეთი შვილი, რომელ-
 შაც, მოსე წინასწარმეტყველივით, უღე-
 ბურიდან გამოასვლელი გზა მოგიძებნა
 და ბედის ვარსკვლავისაქენ მიგიოთია:
 ჩავგონა და შეგანებია ერთობის სა-
 ქართველთა და თავისუფლების სიყვარული
 სულსა და გულში ჩაიხიერვა.
 გიხაროდეს, ქართველო ერო, რომ ასეთი
 შვილის ხორციელათ დაკარგვა შენი
 ქვეყნის ყოველმა კუთხემ მწარე ტკივი-
 ლათ იგრძნო და დღეს აქ შეგიოლან
 მრავალნი, რათა უკანასკნელათ იხილონ
 საქართველოს ქორისა და ლხინის უტყუ-
 არად გამოშობველი გაცივებული სარკე,
 იხილონ მიცვალბული გენოისი, მოძლ-
 ვარა და უღრმესი მადლობით გამოემვი-
 ლობონ მას.
 გიხაროდეს, ქართველო ერო, რომ ამ
 წაშს, როცა შენს გენიოსს შეგ მიწას
 აბარებ, შენი მთელი არსებით იგრძენ
 სიდაღე ერთობისა და საურთიერთო სი-
 ყვარულისა:
 ამ დიდებული აღფრთოვანების წაშს
 შენი ყრბანი ჩვილნი და მწოვარნი თავ-
 თავის მშობლებთან ერთად საქართველოს
 დედა ქალაქში შესვენებულა მგოსნის
 ქებას „კურთხეულარს მომავლიო“ გა-
 ლობით ამტკიცებენ და შენს აკაკის
 „ოსანს“ უგალობენ.
 არც ერთს ქართველთა მგვეს მტერზე
 დიდი გამარჯვების ვაშსაც ასეთი აღტა-
 ცებით არ შეხვედრია პატარა თფილისი,
 როგორც შენს სათაყვანო მიცვალბულს
დიდი თფილისი შეგება.
 გიხაროდეს, ქართველო ერო, თუ შე-
 ნი წინამძღვარი შვილის ნაანდერძეს
 თვით სატახტო ვერ გაგატყინებს და მარ-
 ტო ჩინგურზე სამღერლად კი არა, გან-

სამართლებელად გექნება გულზე აღ-
 ბეჭდილი აკაკის მცნება:
 ჩინგური საქართველოა,
 სიშუბი ჩვენ ერთ ველოა;
 ერთი მათგანი რომ გაქვდეს,
 მათგანე უნდა შევლოა.
 ჩვენც რომ სიშუბის სისუსტემ
 სინათლე დაგვახუნდაო:
 მორიანს შემოგვყარა
 მტერა, ვით ტურა შევლოა!
 მწარეც კი სტოვარობს თანშიათი,
 ფურცაკი... ჭანჭველა!
 ერთობა ჩვენთვის ტახტია,
 მტრებისთვის სახმობელია!
 გიხაროდეს, ქართველო ერო, რომ
 შენს საუკეთესო თავადებულთა შორის
 მხოლოდ შენს აკაკის ერგო თავის დღით
 ხორციელად სიკვდილი და სწორეთ ში-
 შინ, — როცა დაასრულა ყველაფერი, რი-
 სიც გაქვრება შეგდლო; და ერთად ერთს
 მაგის წორცს არ შეხებია მტრის მიგნებ-
 ლი ხელი:
 ტირილს გარეშეც თუ სიყვარული
 ერთობა დაგვეჩვენა განაღდა გაბედვს რო-
 მელიმ მტერი დღის იქით ერის ცხე-
 ბულისკენ ცივი ხელი გაწიოს??
 გიხაროდეს, ქართველო ერო, თუ
 დღევანდელი დღე შეიქნება იმის თავმდე-
 ბით, რომ შენი მჭირფასი მოამბე თავ-
 დიდებულთა პანთონის საყოფელ სამ-
 შობლოს შენთვის დაიცვად და დაუბატი-
 ებელი სტუმარი შეცალბებას ვერ გაგი-
 ბედავს.
სამსონ ყაფიანი.

გლოვან

საქართველოს დიდებავ და ერის გუ-
 ლის მესაიდუმლევ, მჭირფასო აკაკი!
 ულოო ბუნებამ არ შეგბრალა მრავალ-
 ტანჯული საქართველო და ამა, მოგლი-
 ჯა გულიდან უუბრავლესი შვილი! და-
 დუმდა ტკბილი, ენაშხანი ბავენი,
 დაიშო თვალის ღვთაებრივ ცრემლით
 მგებარენი, გაწყდა სიმი ციური პანგის
 მიუღერებელი, დაიმსგრა ტაძარი, მაგ-
 რამ ხატება მისი აღიბედა ქართველის
 გულში მარადის სამლოცველოთ.
 მოკვდა აკაკი... სამართლებელი ძილით
 ჩანისვენა დიდმა მოხუცმა... ამა, კოლ-
 ხიდა-ივერის მშვენიერ კუთხეთაგან გა-
 ისმის საშინელი გმინვა და გლოვის ზა-
 რი! ამა, მოსულან სამშობლოს ყოველი
 მხრიდან მამამოსილნი, რათა ეამბორონ
 გენიოსის მარჯვენას, რათა ცრემლით
 მოარწყან საქართველოს ზეკაცის წმინდა
 ცხედარი.
 იტრეთ ქართველო ვაგრო! იგლოვეთ
 ქართველს დედანო! თქვენ დღეს ამა-
 რებთ ცივს სიშარეს ერის შემოქმედების
 მნათობს, ერის ფიქრთა და ზრახვთა
 მესაიდუმლეს, ბუმბერაზს პოეზიისას
 აკაკი წერეთელს!... იტრეთ ახალგაზ-

დობა? იცრემლეთ ყრმანო! თქვენ ამ-
კობთ ყველაფერს გვირგვინით საყვარელ
მოზღვარს, პატარა კახის, თორნიკეს
და ნანანას ავტორს.

დობა გვასანო! შენ აღვიძებდი ქართ-
ველი ერის სულს ციური ჩანვით, ძლიერ-
ი სიტყვით. შენ იწვევდი ამ მორჩინებ-
ულ სულში მაღალ მტყუნებს, ძიობა
ერთობის და თავისუფლების წყურვილს.
მხოლოდ შენ ჩაწვდი სიღრმეში ამ ერის
სულს და შეგე ნახი თითებში მის ილე-
ვალ სიმბეს. ამ სიმბე პანგებით შენ
აახმარე ერის ლტოლვა და სურვილე-
ბა. ვიფიქრებ, შენ ახსენ ფარა
მომავალს და მოასხურე უძლიერ ერს
ციური ნეტარათ რწმენა და ტკბილი
იმედი.

დობა ქურუმო პოეზიისა შენ იყავ
სამშობლო ენის დიდი ხელკაცი. შენ
მიეც ქართულ სიტყვას ახალი ძალი,
სიტყვა, სიმსახრე და ელვარება, ჰე
იგი ნაზი, ალქატი, მუსიკოვანი და ყვე-
ლასთვის გასაგები. შენი ძლიერი ბუკი
და ნალარა სეკუდა მედვრათ, ვითა საყ-
ვირი ერთქონისა, და უყილდა ქართულ
გმირებს.

ფუტკარო მოსვენარო! შენ სწოვდი
ლევანებრივ ნეტარს ჩვენთვის უჩინარ
ყვავილთ, უმზადები მაშვრალ ხალხს
პოეზიის ულტკებს თავლს, უნთებდი
სანთელს ერის ერთგულ მოღვაწეთ და
იმავე დროს აძვირებდი გვსილიან ისარს
ერის შინაურს და გარეშე მტრებს. თა-
ვდათა შორის დაბადებული, შენი ციური
რი მუზა და შენი გული დაუმგებარდენ
გლების ქოხსა და მუშის მადაროს. შენ
მოწყდი ზვირო მედღურ წოდების და
შეეღვლე სრულიად ქართველ ერს. ამი-
ტომ ერთგვარი მწუხარებით დატვირთი
დღეს გლები და თავიდი, მუზა და ვაჰა-
რი, მკოდნე და უმეცარი, ქალი, ყრმა
და მოხუცი. შენთვის ყველანი ძიებში
იყვენ, ყველა საყვარელი ქართველები,
ერთი გრძნობით, ერთი სწრაფვით და
იმედით გამკვიდრულნი.

სულმანათო! დიდი შენი ღვაწლი სამ-
შობლოს წინაშე და მადლიერი საქარ-
ველო არ დაგივიწყებს არასოდეს. შენ
არ იყავ მარტო ეროვნული მგოსანი,
მგოსანი სრულიად საქართველოსა, შენ
იყავ მსოფლიო გენიოსი, რომლის
პოეზიის ნეტარი ატკობს არა მარტო
ქართველს, არამედ მთელ კაცობრიობას.
და აი, აი გენოს მგოსნის შექ-
მნა შესძლო პატარა ერმა მსუსხავ პირო-
ბებში! ეს ამტკიცებს ქართველი ერის
მაღალ კულტურას და უკვდავებას.
დიდება შენს სახლს ე-ის მ-მღვარო!

მოგონება

და უკანასკნელი საღამო!.)
დაღალული მოვდივდი სკოლიდან.
კბეზე ზედი პატარა ძმა მომეგება და
შორიდან დამიყვარა: "იცი ფატი, შენი
აკაკი ხომ მოკვდა? მე შეგვტოვა, —მაგ-
რამ ბავშვის ტიტინს არ დავეჯერე და
ნაძღვილი ამბავის გასაგებად მამას მივა-
შურე."
მამამ, თვალტრემიანმა, მაკოცა. მა-
შინ კი მივხვდი, რომ ბავშვის ნათქვამი
მართალი იყო. შევედი ჩემს ოთახში და
ფიქრებს მივცე თავი.
ბავშვი ვიყავი, თუმცა არც ახლა ვარ
დიდი, მაშინ, რომ პირველად აკაკი მოიყუ-
ნა ჩვენსა: "აი, ფატი, შენ რომ ლეკსე-
ბი იცი —პებელა", "დის სიმღერა", "გა-
ზაფხული", ესენი და ბევრი მაგისთანაა,
აი, ამ ბავშუს დაწერილია."
არ დამავიწყდება ჩემს სიტოცხლემში
იუბილესი დღე, როცა მე აკაკის ლეკსე-
ბით ხარ: მან მუხლებ დამიჯინა და მა-
კოცა.
ეს კოცნა დაუვიწყარია ჩემთვის: ასე
მეგონა აკაკიმ ამ კოცნით თითქო ვად-
მომა პატარა ნაწილი თავისი დიდი ნი-
ქისა. ოხ, მართლა ეს ასე რომ იყო,
რა ბედნიერი ვიქნებო!

განსვენე სახეტარო ძილით შენ სატრ-
ფო-სამშობლოს მკერდზე. დიდება იმ
ერს, რომლის წამებულ სულში შენ
ჰპოვე პანგი ციური, უსრეტო წყარო
პოეზიისა!...

იგლოვე, იგლოვე, ქართველო ერო,
შენი დიდება, შენი სიამაყე, შენი საყ-
ვარელი შვილი! იგლოვე... იგლოვე...
სიმონ ქვარციანი.

პაპის ჩანაწერი.

დღეს ჩაფიქრებულს მდუმარე მთა-
წმინდას, რომელიც შეზღუდვებ ციური
ვარსკვლავს და მართობი სხივებს
ჰგენს, ქართველი ერი მიაბარებს აკაკის
უსულელო გვამს.
დღეს მთელი ქართველობა უკანასკნე-
ლათ ემზადრება მგოსნის ნათელ სახეს
და ციეს ლოდს ქვეშ, ილიას გვერდით,
მოასვენებს მის ტანჯვის სედაში ნაწრ-
თობის არსებას.
დღეიდან მგოსანი აღარ ამოუღებდა
გვერდში სოფლის გლებს, არ შემოსდა
ხებს მასთან "ოლიოსა" სიმონდის მარგვლა-
ში, "პოპუნას" პურის მუშაში და "ორ-
ველა" კალოს ტრიალში.
დღეიდან ის აღარ ანუგეშებს ლეჩქ
შობილ სატრფოს და არც ტკბილს
ალერს უძღვის ქურდულათ დაქვრილს
თავისუფლების მოტრფილვე არწივს.
დღეიდან ის გულს აღარ დაედნობს
ჩანგურის სიმებს და არც ბულბულს
დასაჩრავს სიმღერაში.
დღეიდან ის გულზე აიძობს მისგანვე
შექმნილს და თვალ მარგალიტებით
მორთულს დაობლებულს ჩანგურს და
საშვილიველით გვიანდერებს, თუცა
ხშირათ ვაისის ხმები: დამსხვრეა მისი
ჩანგური და ახალგაზდა მგოსნებმა გვი-
ნაწილესო, მაგრამ ეს შეცდომაა.
განა შეიძლება აკაკის ჩანგურის დამ-
სხვრევა? რა დაამსხვრეს აკაკისგან შექ-
მნილს ჩანგურს? მისი ნათქვამი ისე
მაგრათ არაა ნაწრთობი ღვათებრივ
ცესხლებ, რომ არავითარ ტიტანიურს
ძალას არ შეუძლია მათი დანაწილება.

აკაკის ჩანგური ხომ აკაკისვე პოეზიის
საქებითი სიმბოლოა? ნუ თუ შესაძლოა
ამ პოეზიის დამსხვრევა?
აკაკის ჩანგური ხომ აკაკისგან შექმნი-
ლი ახალი საქართველოა?
განა მგოსანიც აქ საქართველოზე არ
გვეუბნება "ნათელას" სიმღერაში: "ჩანგუ-
რი საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ
ყველა, სხვადა სხვა კუთხის მტკიცებით,
ოლიოსა-ღვლა დღესი!"

აკაკი წმინდა, სახეტრეში წავლს წინ,
აკაკი მოვ და ჩვენსა. მე გამბხვრედა, რომ
ერთ-ერთ მის ლეკსეის გამოცემაში ზო-
გან რამოდენიმე სტრიქონი გამოტოვებუ-
ლი იყო.
მან დამაწერინა ზოგიერთი გამოტოვე-
ბული ადგილი. იმ დღეს აკაკი ჩვეულებ-
რივ უფრო მეტ ხანს დარჩა ჩვენსა.
თითქო გრძნობდა, რომ ეს უკანასკნელი
დღე იყო ჩვენის ნახვისა. მან სხვათა შო-
რის, ის ლეკსე მათხრობინა, რომელიც
მე იუბილემე უთხარია. ამ ლეკსეში მის
უფრო მისწონდა შემდეგი სიტყვები:
„პირმოცინარედ დაჯექვრის
ცა სამშობლოსი კასკასი.
გამკობს და კამკობს დიდებით
მგოსანო მთელი კავკასი.
და ჩვენც მოზარდნი, სულმანათო,
ჩვენის გულწრფელის გულითა,
გილოცავთ ამ დღეს დიდებულს
და გიხსენებთ ქებითა“.

მამ, ასე ჩემო ძვირფასო, ბავუ აკაკი!
ეს დღე თურმე უკანასკნელი დღე ყო-
ფილია ჩვენი ნახვისა! მე შენ აწი ვეღარ
გინილავ, ჩემო დაუვიწყარო და საყვარე-
ლო მოხუცო! მე ვნატრულობდი, ტკი-
ლო მღერალო, შენი მეროდ იუბილესი
დღეს კიდევ მეტქვა შენთვის მოლოცვის
ლეკსე. მაგრამ, შენ ეს აღარ ინდომე და
დღეგანდელი დღე გადააყეთე „სიკვდი-
ლის იუბილესი“ დღეთ. და აი, დღეს,
როდესაც შენი საყვარელი ქვეყნა სამშ-
დამათ გესალმება შენ, იხდის შენ სიკე-
დლის იუბილესის" მეც მინდა ჩვევრითა ამ
იუბილესში. და მინდა ჩავაქსოვა ჩემი ბავ-
შური გრძნობა აუარებელი ხალხის გრძნო-
ბაში.
დღეს, როცა შენ, დაღალული, უკანას-
კნელიდ დისვენებ მთა-წმინდაზე პირლია
სამარის წინ, რომელმაც რამოდენიმე წუ-
თის შემდეგ უნდა სამუდამოდ ჩაგვრას
თავის გულმკერდში, ამ დროს, იცოდე,

მამ რა დამსხვრეა? რა დანიწილეს
მგოსნებმა?
ჩანგური აკაკის საქართველოა, რე-
მელმაც მამა დაკარგა. მამა მოკვდა, შე-
ლი კი უკვდავია, იგი ცოცხლობს და
გაზრდა-გაფუროვნებას ელის.
დაბა, აკაკიმ შექმნა უკვდავი, დაუმ-
სხვრეველი ჩანგური და ზედ ააბა სიმე-
ბი- სხვა და სხვა კუთხის მტკიცებულე-
ბი, შეუხმატბილა ერთმანეთს და დღე-
საც ეს აწყობილი სიმები მგოსნის სამა-
რეს ჩაგვინ-ჩასტირის.
ჩანგური მხოლოდ დამოხდა.
მის სიმებს მოაკვდა აზღვრებელი,
რომლის ციური ხმაც სამშობლოს სიყვა-
რულს გულში გვისახავდა, სულს გვიწ-
ფოთებდა, გულს გვიძვირებდა და ჩვენც
აღტკცვბილი ვიორკეტვებელი გულისთქმის
და შორს მივყავდი მომხიბლავს ოც-
ნებას".
დღეს ჩვენ სამდამოთ ვთხოვებით ამ
ჩანგურის შემქმნელს და ჩვენი გულის-
თქმის, ნააზრვეის, გრძნობების დამაძღვრე-
ბელს მგოსანს.

ჩანგური კი ჩვენ გვიანდერა.
ჩვენი ვალია, მის სიმებს ნახათ შევე-
ხით და უდღერი მოპყრობით არ და-
ვსწყვიტოთ იგი.
გიორგი ნიორაძე.
**საგლოშიარო დაკავშირე და
წერილი.**
აკაკის ხსოვნას.
28 იანვარს რუსულ ვაზეთ „რუსეთ-
სლოვ.“ ამოვიკითხეთ ჩვენი დიდებული
პოეტი აკაკი წერეთლის გარდაცვალების
ამბავი, რამაც თავზარი დაგვცა ჩვენ ო-
ში მიმავალ ჯარის კაცებს და დაგვივიწყა
ჩვენი პირადი მეტად დიდი გაქვირება:
ვლგავართ სიკვდილ-სიცოცხლის სასწო-
რე და ზედ დავგვრთო კიდევ ეს გულშე-
ზარავი და მოულოდნელი დაობლება
ქართველი ერისა, რამაც უფრო გააფარ-
თოვა ჩვენი ჰერ—ვიარამი.
ჩვენც სამხედრო სამსახურში (ქ. ტამ-
ბოვში) ახლათ ვაწვეულები ჯარის კაცი
ვცხადებთ უღრმეს მწუხარებას ჩვე-
ნის მგოსნის აკაკის გარდაცვალების
გამო.
შენ გააათლებ ციურ ღვაჭარდო, უფათ
მოგონე შენა სხივები, და ეხლა კი ჩა-
გრულ სამყაროს დაღვრებინე ცხელი
ცრემლები...
ვანო ალექსანდრეს ძე ნიკოლაივილი,
(თავად) შალვა ბესარიონისძე დადიანი,
ახალური რომან ჯავახიშვილი, ისილარე

არის ხომე უღრმესი მომენტები, ისტო-
რიული წუთები, რომლის სავსებით ახს-
ნა არა ხერხდება და, იი, სწორეთ დღე-
ვანდელი სურათიც ასეთია.
როგორ წარმოიდგინოს ქართველი კუ-
ცის გონებამ, რომ აკაკი აღარ არის?
როგორ დაიჯეროს ქართველის გულმა,
რომ აკაკის ტკბილი პანგი შესწყდა და
მისი მკვერა ენა დაღუბა? როგორ შე-
უთანხმდეს ქართველი იმ უღომბელ აუ-
ცილებლობის კანონს, რომ ის ვეღარ
დაინახავს აკაკის მოცინარე, ფართო სა-
ხეს, გრძნობათა საუცხოვო გამოძახ-
ვლ მის თვალებს და ერის ყოველგვარი
წყურულით ამოძრავებულ მის ბავს?
სწორეთ ძნელია სიკვდილი! უწინური
რამ არის ეს საიდუმლოება ბუნებისა;
აღმანიის გრძნობა-გონების აღმშემა-
თებელია ეს ბნელი უძლეველი ძალა! I
„აკაკი მოკვდა“, აკაკი აღარ იქნება“
ეს სიტყვები დაუჯერებელია: ენა იტყვის,
მაგრამ გონება არ მიიღებს; თვალი გვა-
ცნობს, მაგრამ გული არ მიიქარებს; სი-
ნამდვილეს ოცნება მოერევა, გონებას
გრძნობა გადალახავს—და აკაკის სიკე-
დილს არავინ არ დაიჯერებს, არავინ და-
იჯერებს და ასეც უნდა იყოს, მიტომ
რომ სულ სხვა არსა ბუნებურადაა სიკვდი-
ლის ბეჯადი და ისტორიული გამოქმნი-
ერას სიკვდილი სხვაგვარია...
თუმცა სიკვდილი უძლეველი ძალაა,
მაგრამ როცა ეს მოვლენა ისეთ პირებს
მიუახლოვდება, როგორც იყო აკაკი,
მშინ სიკვდილს ელფერი გეარება, მისი
მომპობი და გამანდაღვრებელი ძალა
სუსტდება, უცებ სულ სხვა სურათი გვი-
ხატება თვალ წინ:—ბნელ სფეროში იმე-
დის ვარსკვლავი ანათებს, სიკვდილის
სამოსელში სტეპს ხმა აღდგომისა, წყურდი-
ედს თან მოსდევს დიდი ნათელი და, აი,
ამ დროს დიდებული პიროვნება ქვეყნი-
დან ზეცას გადადის, სული მისი ნათლათ

რუსეთ, ივგორ ვადკოვრია, გრიშა ქუ-
რიძე, ლევან მელიაი, აპლონ დოლოძე,
ელიზბარ ფიფია, ისაკი კვიციანი, დი-
ნიელ გოგოლაძე, ალექსი აფშილაძე,
ალექსანდრე უშვერიძე, ნიკო ელიაშვი-
ლი, ანდრია კახიშვილი, კონდრატე
თოღლა, ჰაველე წულუბსკირი, ჰაველე თა-
ლაკაძე.

ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტო-
რის მოსამსახურენი ცხარე ცრემლს აფრქ-
ვევენ შოთა რუსთაველის მემორიისა, სა-
ქართველოს ხალხური პოეზიის მამათა
მთავრისა, სახელოვანი დრამატურგისა
და საყვარელ საქართველოსი დიდების
დაკარგვის გამო.
საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, დიდე-
ბული აკაკი!
აკაკის დამარხვავ დეტუტატს ვგზავნით.
ასი მანეთი გადავდევით აკაკის სახელო-
ბის ფინდის გასაძლიერებლათ.
ამხანაგების მონდობილობით კ. კატსიძე.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწა-
ფთა ერთი ჯგუფი უღრმეს მწუხარებას
გამოთქვას დიდებულ პოეტისა და მსწავ-
ლებლის დაკარგვისა გამო და ცრემლთა
ნაკადულს უერთებს მთელი ქართველი
ერის გმინვა-ქვეთინის ხმას.
მუდამ იქნება-ჩვენს გულში, აღბეჭდი-
ლი ძეგლი შენის მოძღვრებისა

აკაკის ხსოვნად, სახეტრეში წავლს წინ,
აკაკი მოვ და ჩვენსა. მე გამბხვრედა, რომ
ერთ-ერთ მის ლეკსეის გამოცემაში ზო-
გან რამოდენიმე სტრიქონი გამოტოვებუ-
ლი იყო.
მან დამაწერინა ზოგიერთი გამოტოვე-
ბული ადგილი. იმ დღეს აკაკი ჩვეულებ-
რივ უფრო მეტ ხანს დარჩა ჩვენსა.
თითქო გრძნობდა, რომ ეს უკანასკნელი
დღე იყო ჩვენის ნახვისა. მან სხვათა შო-
რის, ის ლეკსე მათხრობინა, რომელიც
მე იუბილემე უთხარია. ამ ლეკსეში მის
უფრო მისწონდა შემდეგი სიტყვები:
„პირმოცინარედ დაჯექვრის
ცა სამშობლოსი კასკასი.
გამკობს და კამკობს დიდებით
მგოსანო მთელი კავკასი.
და ჩვენც მოზარდნი, სულმანათო,
ჩვენის გულწრფელის გულითა,
გილოცავთ ამ დღეს დიდებულს
და გიხსენებთ ქებითა“.

აკაკის, გარდაცვალებამ თავიანთ
გვცა.
ვერთობთ ჩვენ ქართველს—ღაბნი-
ბული ერის ცრემლსს სიჭიმუხით სუს-
ვიურით ჩვენს ცრემლსს, ჩვენს
ვარსკვლავის—ძვირფასი ცხედრის
ნაშე.
ფოთის სავეო გიმნაზიის მსწა-
ლებლები: გ. ახაძე, გ. გუგუ-
კვიციანი, ა. ალექსიშვილი, თ. კან-
ლაკი.

სრეთის სამინისტრო და სამრეველ-
სკოლის მოწაფეები და მსწავლებლები
ველოვობთ და ვსტირით დიდებული პ-
ეტის აკაკის დაკარგვას.
მონდობილობით კ. ბარათაშვილი.

ჩაგვისინდა მზე მეცხრამეტე საუკუნ-
მწერლობისა.
მუხლოდრიკით თავყანსა ვსცემთ დ-
ღებული მგოსნის ხსოვნას, მთელს ქა-
თველ ერთან ერთად ვიზიარებთ ქა-
თველი ერის საერთო მწუხარებას.
ქუთ. ენარქ. სასწავლ. მოწაფენ
კლისაზედ სხეულებანი და ნინო შის
აღის ასული მესხა.

ოქროთა სავანე.

დღეს საქართველო ერთს დირტულ
თავის შეილთაგანს დაკრძალავს ოქრო-
სავანეში...

იმ ოქროს სავანეში, საცა ორი ღი-
სეული თავის შეილი აღრე დაკრძალა.
ქართველი ერის ორს სასოვნასა და
სათავისად მესამეც მიუხვედა.
ამიერი ოქროს სავანე იგი—წმ. შა-
ღვათი—ქართველი ერისთვის უფრო
წმიდა და სალოცავი გახდა.
დიმიტრი, ილია, აკაკი—აი, სამება, ს-
მი დიდება ქართველი ერისა, სამი ქურ-
მი მეცხრამეტე საუკუნისა.
გავლენ საუკუნური...
და რა გინდ ქართველიც არ უნდ-
მოეცილოს წვეთს ქვეყანას, მამა დავე-
თი მარად წმიდა სავანეთ დარჩება ყოვე-
ლი ქართველისთვის, წმიდა ოქროს სავ-
ნეთ...
იგი გულია ქართველი ერისა.
აქ დაკრძალულებს, ამ მოქცულუმბს
არა ერთგვის ტკბილათ და სახეტარო
აუძვრებლიათ გული ყოველი ქართველი
და ეს ძეგრა არ მოისპობა, ვიდრე ქარ-
ველი იქართველებს...
ვიღრე სული ამ სამების ქართველ-
სულსა და გონებას არ მოსცოდება...
დ. მესხი.

*) ეს მოგონება დაწერილია 3 წლის გოგო-
ნასავან.

ძ ღ ვ ნ ა დ:

ა ბ ა ბ ი ს.

მე მამა გამომაჯავანა აკაის დატრეო: „ჩემი მღვდელმამა კრემლები შორიდან შეიწირა“.

„მომკმელად შევუღებოდი ქართველთა ხსენსა მომლოდენი; „აწ განუტყვეს“ სათქმელად რათ არ შეჩერდი ბოლომდე“!

მე კი არ მინდა ვიგოლოვო ქართველი ერის ცხებული: ცოცხალი—ყველას მოყვარე, მკვდარი—ყველასგან ქმბული!

უნდა ვსტიროდეთ მხოლოდ მათ, ვინც ვერ მოასწრო საქმელი და პირში შეჩაბო მოძღვრება შეიღებოსათვის სათქმელი!

თორემ აკაის რა უჭირს: მას ყველაფერი დასცალდა; ცხოვრების ქარბუქს გაუშლო, კლდე იყო: გაკაე—გასაღდა.

მან გვიანდერმა ერთობა მარტო ტირილში კი არა— იქ—სადაც მტერი გვდარაჯობს და გვიმწიფდება იარა. *)

ს. ყაფიანი.

ა ბ ა ბ ი ს.

მზე აღარ ათბობს ქვეყანას, მთვარე ღრუბლებში ჩამჯდარა; ვარდს არ დამღერის ბუღბული, ია ბუჩქებში ჩამქვანარა; ზღეს დასცვენია ფოთოლი, აღარ სჩქეფს წყარო ანკარა; ზღვაც განახულა, ტალღები მის ნაპირებზე ჩამკვდარა.

ქვეს ხავსი მოკიდებია, და მინდორ-ველი გამხმარა; ტყეში აღარ სჩანს ნადირი, ეშმაკი უფსრულს ჩამძვროლან, მწარე კრემლებით იღვრება ქართველი,—დიდი, პატარა... რისთვის, რა იყო, რა მოხდა? —თითი მგოსანი მომკვდარა!

ყთანჯიფი.

ა ბ ა ბ ი ს.

უღეთო, უწყალო იბაღომა დასძლია დაუძლველი:

*) ამ ლექსს წაიკითხვენ დღეს ფილისში მთაწმინდაზე.

ზეცას მოსწყვიტა მნათობი, სხივთა უხვებით მფრქვეველი.

არე დაბნელდა, დეზავდა, ისმის ქვითინი ერისა:

რა მები გასკდა მის თავსა, ველარ მიმხვდარა ჯერ ისა;

მხოლოდ გრძობს, გაძლიერდება ეს დაწყველილი წყვილიადი, რომელმაც ხარკად, ეს არის, მოგვტაცა მსხვერპლი დიადი.

აზრთა გაყინდა ნაკადი; დადგა დულილი გრძობისა საერო ჯვარის შტვირთველის, მოძღვრის ერთობა-ძმობისა...

მგოსანო—გულთა მხილავო, მეფეო ერის სულისა, უკვდავო, მახარობელი მომავლის სასწაულისა.

ძველი დაგედგა გრძობათა, ვით იალბუზი, მაღალი! ზედ აწერია: „საკაე და მისი აღთქმა ახალი“!

ბ. პაყიანი.

ა ბ ა ბ ი ს.

შავ-ცხოვრების ბრძოლის ველზე დაეხუტა ლომ-გმირს თვლი... მუშაკობით დაღალულმა მოიშორა ქვეყნის ვალი!

გატყდა ჩანგი ეოლოსის, დაიკარგა სიმთა წყირა, ხმა მხიბლავი აღარ ისმის, კრემლის ტბაში ჩაიძირა...

ტაფა.

ა ბ ა ბ ი ს.

მითხარ მთვარე, სხივთ მთვარევე, სველიანის შეგების მგვრელო; სულ იკვნესებს, თუ ოდესმე აყვავდება საქართველო... თუ გაქრება ბნელი ღამე, თუ გაქრება ტანჯვა, კვნესა, თუ ვიხილავთ, რომ სინათლე სძლევეს წყვილადს, სიბნელესა!..

მიპასუხე, ჩემო მთვარე, მიპასუხე გენაცვალე, მსურს სინათლე... ბნელში ყოფნით დავიღიე, დავიღალე!..

ს. ვარდამიშვილი.

ა ბ ა ბ ი ს.

შავი ყორანო! რას დამჩხავი, ოხერი-ტილო, გინდა სამშობლო ამიოხრო, გამოტილო? ჰეი, მოხარე! შეჩაჩრე გლოვისა ზარი... ნულარ ქვითინებს მინდორ-ველი, კლდე, მთა და ბარი...

დღევ! ნუ სტირი, შენი ბირშო არ არის მკვდარი... სული უმწყევლო ჩვენთან დარჩა... გესმის? აქ არი... ნაწკაფი.

ა ბ ა ბ ი ს.

ჩვენო დიდებუ, ჯავარო, საუნჯევე ქართველ ერისა, დარაჯო მრავალ-ტანჯულის შენის შშობელი კერისა, რად შეგვიწყვიტე მანგები ძლიერი ჩანგის ჯღერისა, რისთვის გაგვხადე ნატრული უკვდავი აღმთვრენისა? რისთვის ისურვე ობლობა, თალხათ შემოსვა ერისა ნუთუ ეს არის ნაყოფი ჩაგრულთა ბედის წერისა?

სოსო ვარდოძე.

ა ბ ა ბ ი ს.

შშობელ ერის შექმნენ ცაზე ჩაქრა სხივი განთიადის, ჩაქრა სხივი შშობელ ერის სიამაყე—სიდიადის... სამშობლოს მთავ, რაზე სდუმხარი! შეჩაჩრე მწვერვალთ რგოლი, ნაბრალ-ლაწვებს დადინე მწუხარების კრემლთა ბროლი!..

სამშობლოს ცაზე, გადინადე ღრუბელთ ხადე ღიბრედ-მუჭო, მოხუც-მგოსნის ვერცხლის თმებზე აციმციმე სხივთა შეუქი!..

ცის გუშაბთო, შეჩაჩრე ცის ციფი მოთამაშე, თავს დაადგი ძვირფას ცხედარს ვარსკვლავთ ჯილა მოკაშაშე!.. სიოვ! მთა-ბარს დაუქროლე, ყველას უთხარ! არ არს მკვდარი — მას აცოცხლებს სამუდამოდ მისი ჩანგი, მისი ქნარი!..

შშობელ ერის შექმნენ ცაზე ჩაქრა სხივი განთიადის, ჩაქრა სხივი შშობელ ერის სიამაყე—სიდიადის... ს. ურუშაძე.

ა ბ ა ბ ი ს.

ზღვა სტიროდა.. და ღრუბლებშიც მის მიხედა, მას წაბაძა;

ა ბ ა ბ ი ს.

ა კ ა კ ი მ ა მ ო ზ ლ ო ს კ ი რ ი ს უ ფ ლ ო ბ დ ა .

თავისი კერძო ცხოვრება სამშობლოს მსხვერპლით მიართვა. თუმცა ის ქვეყნით დიდ გაქვირებას განიცდიდა, მაგრამ ადვილათ იქარავდა. აკაკიმ ქვეყნიურ ბატონი უკუთავდა და ტანჯვაც გმირულათ იტანა. ნახევარი საუკუნე ატარა მან ჯვარი ცხოვრებისა და სამშობლოს სიყვარული მიანიც არაფერს ანაცვალა. სიკაცხლით ეს დაამტკიცა და, როცა ნათლათ მიიცივალა ანდრეასთ მაგალითი დაგვიტოვა.

აკაკის დასაფლავების დღე—ისტორიული დღეა ჩვენთვის. ასეთი წუთი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, საგნებით იპყრობს ხალხს ყურადღებას და წარუბოცებელს სტრავებს ერის შეგნებაში. ასეთი წუთი სასწაულისებრ აერთებს ერის ისტორიულ წარსულს აწმყო და მომავალთან და შვიდროთ აკავშირებს მისი ცხოვრების ყოველ მხარეს. ასეთი წუთი ასულდგმულებს ერის გონებრივ მოძრაობას და საერთო ფუძეს უკეთებს მას. ყოველგვარი სხვადასხვაობა ცხოვრებისა, დაყოფა საზოგადოებისა, უთანხმოება, კერძო მიმდინარეობა. ამ დიდებულ წუთს ქრება, ისმობა და მთელი ერთი აზრით, ერთი გრძობით იმსჯელება და ეს ერთობა და მთლიანობა საუკუნო თარიღით იბეჭდება ერის ისტორიაში. ძლიერია ეს ბეჭედი! სიმშველი და აღმთვრენია ეს მომენტი; აქ იბადება ერის ყოველი მომავალი; აქ იწყება ერის განახლების ხანა; აქ იქმდება ბეჭედი ერის ბედნიერებისა.

აკაკის იუბილე, მოგზაურობა და დასაფლავება აღმოუფხვრელია ქართველი ერის ისტორიულად. ეს სამი სურათი აღბეჭდვით აკაკის ჩვენი ერის შეგნებაში და დიდ დავიკრებებაში მისი უკვდავი მოღვაწეობისა, სულ სხვა პიროვნება იყო აკაკი და სულ სხვაანაირია მისი სიკვდილი.

აკაკის იუბილე, მოგზაურობა და დასაფლავება აღმოუფხვრელია ქართველი ერის ისტორიულად. ეს სამი სურათი აღბეჭდვით აკაკის ჩვენი ერის შეგნებაში და დიდ დავიკრებებაში მისი უკვდავი მოღვაწეობისა, სულ სხვა პიროვნება იყო აკაკი და სულ სხვაანაირია მისი სიკვდილი.

აკაკის იუბილე, მოგზაურობა და დასაფლავება აღმოუფხვრელია ქართველი ერის ისტორიულად. ეს სამი სურათი აღბეჭდვით აკაკის ჩვენი ერის შეგნებაში და დიდ დავიკრებებაში მისი უკვდავი მოღვაწეობისა, სულ სხვა პიროვნება იყო აკაკი და სულ სხვაანაირია მისი სიკვდილი.

აკაკის იუბილე, მოგზაურობა და დასაფლავება აღმოუფხვრელია ქართველი ერის ისტორიულად. ეს სამი სურათი აღბეჭდვით აკაკის ჩვენი ერის შეგნებაში და დიდ დავიკრებებაში მისი უკვდავი მოღვაწეობისა, სულ სხვა პიროვნება იყო აკაკი და სულ სხვაანაირია მისი სიკვდილი.

აკაკის იუბილე, მოგზაურობა და დასაფლავება აღმოუფხვრელია ქართველი ერის ისტორიულად. ეს სამი სურათი აღბეჭდვით აკაკის ჩვენი ერის შეგნებაში და დიდ დავიკრებებაში მისი უკვდავი მოღვაწეობისა, სულ სხვა პიროვნება იყო აკაკი და სულ სხვაანაირია მისი სიკვდილი.

აკაკის იუბილე, მოგზაურობა და დასაფლავება აღმოუფხვრელია ქართველი ერის ისტორიულად. ეს სამი სურათი აღბეჭდვით აკაკის ჩვენი ერის შეგნებაში და დიდ დავიკრებებაში მისი უკვდავი მოღვაწეობისა, სულ სხვა პიროვნება იყო აკაკი და სულ სხვაანაირია მისი სიკვდილი.

ტრიფონ ჯავახიძე.

მტრების ვერც ცამ, მოციგვემ,— გადლიცვა შვიი ძაბა.

—ვაპ, მოკვდა!—მთის ნიაფი მოუბნობდა სიტყვებს მწარეს და, ნაღვლიან ველ-მიდამოს კრემლს აფრქვევდა, კრემლებს (ხარეს. ა. შუბლაძე.

ა ბ ა ბ ი ს.

სულზე უტყბესო, კოკობო, ჩემო სამშობლო მხარეო, აკაის სიკვდილით დაღონდენ შენი მზე, შენი მთვარეო.

ბუმბერაზ-მალილი მთები გაის რო გარტიანი მკველალო, ვერ შეურიდდენ ამ ამბავს. სწუხან... დნებიან ცრემლალო...

გიემიფი მდინარეები, უხვად რო გირწყვენ არესო, ემზადებიან სატირლად, მოზარე დაიბარესო.

კუმუნის ბეჭედი დასმია ყველგან შენ არე-მარესო... ძამა-ფლასითა იზოსის ქართველი ყოველ მხარესო.

ვერ დაგიფიცავ აღარ გყავს მგოსანი ტკბილი... ქილარო. გამოგეცალა... დაღუმდა მისი ჩანგური, ნალიარო...

მაგრამ ძვირფასო, კეკლუცო, მრავალ ტანჯულო მხარეო, არ დამანხო კრემლები, გამხმრედი... გაიხარეო:

კუბოს ფოცრამდის აკაკი თავს გვევლებოდა მარადა და რაც მიეცი, ხომ ხედავ, მოგვიღო ერთი—ათადა!

მან ხომ შევჯურღმულს მოსტაცა ღრმა ძილში მყოფი ქართველი! გამოაფხიზლა... და უთხრა, რაც გულში მქონდა სათქმელი.

გადაუშალა თვალის წინ სამშობლოს აწმყო, წარსული და მომავალი უქადა დასტოვა იმედნეულო.

მაშ რადასტორი?! შორს კრემლი, სულის ჩამდგმული მხარეო. ერთ რამეს ვახოვს მაშვრალი და შეასრულე მალეო:

სმა ბუნებისა.

... მთის თხემიდან გადმომსკდარი ნაკადული მორბის ჩქარა, შექვითინებს კლდეს, ხეს, ბალახს, ტყეს და მინდორს, სჩქეფს და მოქუბს ქვიდან ქვაზე, კორტის ნაპირს, სწვდება ყვევილს და შეფეს ისერის წარა—მარა—სურს რომ ჩაკედეს გაინახოს თვის რაკარაქში...

სურს, რომ დასწწან მან გვირგვინი დაფნის ფოთლის მშვენიერი და მიართვის მას, ვისთვისაც დღეს ქვითინობს იცვამს შევებს, გლოვობს, ტირის, კრემლს ღვრის მწარეს დაჩაგრული ბედით ვერი... სურს ფარვანთ თავს მოველოს... არა მარტო... სხვებიც მასთან: მთის ნიაფი, ანცი წყარო მოცქრიალე სანტარო, მომბინე მინდორ-ველი, მოცივლე ყვევით კრება, ტყის წალკოტი მომღვღვარე, მზის სხივები, ბადრი მთვარე... და ბუღბულმა თვისი ქნარი, ხან მკვდეს-საფი, ხან კი წყნარათ მომზიბლავი, მომართოს და დაატროს საქართველოს ბედი შავი...

მერე დასწწან ყველამ ერთად მზის სხივებით თაიფული და შეამკონ წმიდა კუბო მისი, ვისაც სამქვეყნოთ აღარ უძგერს შევებით გული. სურს შემოკრბენ იმის გვირდით ყველა შევილი ბუნებისა, რომ ცხედარი, წმიდა კუბო, იგლოვონ და კრემლის ტალღა დააგუმონ... თან უმჯერონ მას ნანინა ისევ მისგან ნასაწვლევე, დაამყვდიონ, დააწყნარონ გულის ძგვარი, სულის ღტოლვა... რომ არ შეწყდეს სამუდამოთ სოცნებო ჩანგის ღვრა...

სურსთ აუგონ ძველი მკვიდრი სამაქვეყნოც, სამქვეყნოც, რადგან მოკვდა მხოლოდ ხორცი და სული კი ცათ იქნება ამ ქვეყნიდან ანატკორცი... ის იქნება ერთად სხვებთან წმიდა ტაძრის კრე...

სურსთ აუგონ ძველი მკვიდრი სამაქვეყნოც, სამქვეყნოც, რადგან მოკვდა მხოლოდ ხორცი და სული კი ცათ იქნება ამ ქვეყნიდან ანატკორცი... ის იქნება ერთად სხვებთან წმიდა ტაძრის კრე...

სურსთ აუგონ ძველი მკვიდრი სამაქვეყნოც, სამქვეყნოც, რადგან მოკვდა მხოლოდ ხორცი და სული კი ცათ იქნება ამ ქვეყნიდან ანატკორცი... ის იქნება ერთად სხვებთან წმიდა ტაძრის კრე...

სურსთ აუგონ ძველი მკვიდრი სამაქვეყნოც, სამქვეყნოც, რადგან მოკვდა მხოლოდ ხორცი და სული კი ცათ იქნება ამ ქვეყნიდან ანატკორცი... ის იქნება ერთად სხვებთან წმიდა ტაძრის კრე...

სურსთ აუგონ ძველი მკვიდრი სამაქვეყნოც, სამქვეყნოც, რადგან მოკვდა მხოლოდ ხორცი და სული კი ცათ იქნება ამ ქვეყნიდან ანატკორცი... ის იქნება ერთად სხვებთან წმიდა ტაძრის კრე...

„დღეა მვილობამ ბევრს არ ვახი... შენს მიწას მიმადარეო, ცა-ფირთუ, ხველით-წყველით ჩემო სამშობლო მხარეო“

მაშ მიბაბარე შენ მიწას... დაე მიეცეს შევბასა... პირობას გაძლევთ ვიღვები, — მივეყვით მის სწავლა-მცნებასა.

გორგა.

ა ბ ა ბ ი ს.

მზე დასაგლოსკენ გადინარა; ღამის გუშავიკ—კაშკაშა მთვარე არ სჩანს—შავ ღრუბლებს ამოეფარა; რიონი ჩვენი გულ ამღვრეული მიქვანება—იქ ერთვის ზღვასა,— ზღვა კი ბოზოქრობს ზვირთთ ზვირთებს ესკრის

წარღვნით უქადის ხმელეთს რისხვასა... იქ, შორს, მთის ძირას, შავგარლის ქოხებს

გულ-შოსაკლავთა დაპკვის ქოტი, — მწყემს სალამური ზელში შეატყდა... მწარეთ ხარხარებს სული ბოროტი...

სტირის და მოსტყვამს ქართველი დედა, „ნანა“ შესცვალა მან გლოვის ზარით... თალხით შემოსილს უტყერის ვიღვებს; სტირის და მოსტყვამს გულ-შესახარათ...

რა ამბავია?! რა მოგვევლინა!... რამ ჩიმაოქკო ტყე, მინდორ-ველი?! გლოვის ძამში რათ გაეხვი ისე ერთობაშთ ყველა ქართველი? რისთვის გამკაცრდა ასე ბუნება. კრემლებს რათა პღვრის თველი საშყარო!.. შენ დაგტირინა, მგოსანთ მგოსანო, ჩვენო ღვთაებავ—დიდო მოძღვარო...

ა. ხარტაშვილი.

აკაკი—მოწაფე.

ჩვენ გადავაფალიერეთ არქივი ქუთაისის კლასიკურის (ანუ როგორც ძველად უწოდებდენ სამხუბერნიო) გინიზიისა, სადაც აკაკიმ მიიღო საშუალო განათლება

მეტად მცირე რამ დარჩენილა დიდებული ადამიანის მოწაფეობის შესახებ, მაგრამ რაც არის, ისიც საგულისხმოა. და უკვდავის მომავალი ბიოგრაფიისთვის ვფიქრობთ, უმნიშვნელო არ იქნება.

პატარა კაკო ქუთაისის საგუბურნიო გინიზიაში მიუბარებიათ „თავისუფალ ტსამბელის ქვეშ განუყვრელი მუღამღმერთთან...“

და ქვეყნურ ძველს კი ყველამ მოაშურონ მხოლოდ ისე, რომ ბუღბულმა თვისი ჰანვით ის დაატკობს და შესცვალოს საქართველოს ბედის-წერა და საამო შემთხვევის დროს არ მოაკლოს ტკბილი მღერა...

სიომ შორით მონაბერძნე მას უამბოს ქართვისი ბედი, ან ზღაპარი წყნარი ტკბილი... მინდორ-ველთ მოკრებილი ან მთა-ბარში გავიანილი. ხშირად ამცნოს თვისი ქვეყნის პიროვარამი, ან თუ შეეცლის მის მწარე ხედრს ვითარება, დრო და ეამი. „ახაროს, რომ საქართველოს გაუთენდა ბნელი ღამე და აკმარეს რაც შენ მისთვის ცრემლი ღვარე და ეწამე“.

მანამდის კი სიომ უნდა ამცნოს იმას, იმის სხეულს და იმის ძვლებს, ყოველივე რასაც ნახავს, ან რასაც კი გაიგონებს...

მზის სხივები უხვით უნდა ეწმებნოდნ იმის საფლავს, თვის სხივებში ჩაწნულ გვირგვინს მიართმევდეს მუდმივთა და განუწყვეტლათ... შარავანდით შემკულ საფლავს შეღებავდენ ოქროს ფერთა...

ნაკადული, ანცი წყარო მუღამ იმ ძველს გარს უფლედეს, რომ უსხურონ ძირი ყვავილს, ვარდს და იას, ზამბახს, სოსანს—ძველის ძირში ამოსულდებს... სად ბუღბული შემოსახებს მკვესარე ხვით—ტია-ტიას... და ყვავილნი შიუქვენ ნაზი რხევით სურნელდებს, საშულამოთ მიძინებულ უკვდავ მგოსანს.

მ. კიკნაველიძე.

მ. კიკნაველიძე.

მ. კიკნაველიძე.

